პროექტი

საქართველოს კანონი

ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო გვარის შეცვლის უფლების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ამ კანონის მიზანია გვარის შეცვლის ამ კანონით განსაზღვრული სპეციალური ერთჯერადი შესაძლებლობის მინიჭება საქართველოს იმ მოქალაქისთვის, რომლის გვარიც ფორმირებული იქნა მის ეთნიკურ და კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო, არაავთენტური მეთოდით.

2. ამ კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეებს ენიჭებათ ამავე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად არაავთენტური გვარის შეცვლის შესაძლებლობა.

3. ამ კანონით დადგენილ გვარის შეცვლასთან დაკავშირებით „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი და „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმები თავსებადია ამ კანონის დებულებებთან. ამ საკანონმდებლო აქტების ნორმებს შორის კოლიზიის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ კანონის დებულებებს, როგორც სპეციალურ ნორმებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი - ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ამ კანონის საფუძველზე აქვს მინიჭებული გვარის შეცვლის მოთხოვნის უფლება;

ბ) უფლებამოსილი ორგანო - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე აწარმოებს სამოქალაქო რეესტრს საქართველოში;

გ) კომისია - „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შექმნილი დროებითი სათათბირო ორგანო, რომლის მიზნებიც განისაზღვრება ამ კანონით;

დ) არაავთენტური გვარი - გვარი, რომელიც პირს სავარაუდოდ მიენიჭა იმ წესებთან და კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო მიდგომების გამოყენებით, რომელიც დამკვიდრებული იყო გვარის მინიჭების დროს იმ ეთნიკური კულტურული ტრადიციების სახით, რომელსაც ეს პირი

წარმოადგენს და ცნობილია, რომ ეს მიდგომა ზოგადად გამოიყენებოდა ამავე ეთნიკური ჯგუფის მიმართ;

ე) აღმავალი შტოს ნათესავი - აღმავალი შტოს ის ნათესავები, რომელთა გვარებიც აქვს მიღებული პირს.

მუხლი 3. გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი

1. გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი ამ კანონის საფუძველზე უფლებამოსილია მოითხოვოს არაავთენტური გვარის შეცვლა ამ კანონით დადგენილი წესით.

2. ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ. ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლა პირს არ უზღუდავს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“-„ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით გვარის შეცვლის უფლებას.

3. ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლა წარმოადგენს საფუძველს იმ პირთა გვარის შეცვლისთვის, რომელსაც მიღებული აქვს ამავე პირის გვარი.

4. ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

ა) ამ კანონის ამოქმედების დროისთვის, ასევე ამ კანონით განსაზღვრული გვარის შეცვლაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის მიმართვის მომენტისთვის და ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის უნდა წარმოადგენდეს საქართველოს მოქალაქეს;

ბ) თვითონ ან აღმავალი შტოს მისი ის ნათესავი, რომლის გვარიც აქვს მიღებული მას:

ბ.ა) უნდა წარმოადგენდეს 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებულ პირს, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და რომელსაც არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ან

ბ.ბ) უნდა წარმოადგენდეს 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებულ პირს, რომელიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდა საქართველოში და რომელსაც არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ან

ბ.გ) უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია, ამდენად, ვერ აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ბ.ა“ ან „ბ.ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, და რომელსაც არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

გ) წარადგენს მისი ან აღმავალი შტოს ნათესავის იმ ეთნიკური კუთვნილების დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელი ეთნიკური წარმომავლობაც განისაზღვრება კომისიის მიერ ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აისახება მინისტრის მიერ ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გამოცემულ ბრძანებაში;

დ) განცხადების წარდგენის მომენტისთვის:

დ.ა) არის სრულწლოვანი, ან

დ.ბ) მიღწეული აქვს 16 წლის ასაკს და მიღებული აქვს კანონიერი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) თანხმობა ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლაზე, ან

დ.გ) არის მხარდაჭერის მიმღები და ამ კანონით განსაზღვრული განცხადების წარდგენისთვის ესაჭიროება მხარდამჭერის თანხმობა და მიღებული აქვს ასეთი თანხმობა.

5. ამ კანონით დადგენილი შესაძლებლობით ვერ ისარგებლებს გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი, თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) იგი მსჯავრდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და არ აქვს გაქარწყლებული ნასამართლობა;

ბ) იგი არის რომელიმე უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილებით დეპორტირებული პირი და ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისთვის არ არის გასული 5 წელი;

გ) მას ერთხელ მაინც მინიჭებული აქვს გვარი, რომელიც ჩამოყალიბებულია გვარის ფორმირების ქართული ტრადიციების შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი ვრცელდება ასევე იმ შემთხვევაზე, როდესაც გვარის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს ამ კანონის მიხედვით სხვა პირისთვის მინიჭებული გვარის მიღება ნათესაური კავშირიდან გამომდინარე.

7. ამ კანონის საფუძველზე გვარის შეცვლისთვის სავალდებულოა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გვარის შეცვლის რეგისტრაცია.

მუხლი 4. კომისია

1. ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს იუსტიციის მინისტრის (შემდგომში - „მინისტრი“) ბრძანების საფუძველზე იქმნება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სათათბირო ორგანო - დროებითი კომისია, ამ კანონის მოქმედების ვადით.

2. მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება კომისიის ფუნქციები და საქმიანობის წესი.

3. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დარგის ექსპერტები, მეცნიერები, მკვლევარები, რომელთაც გააჩნიათ ამ კანონით განსაზღვრული საკითხების თაობაზე სათანადო ცოდნა და გამოცდილება ისტორიის მეცნიერებების, მათ შორის, გენეალოგიის მიმართულებით, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

4. კომისიის საქმიანობაში მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ჩართულობა და მათთვის კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომა.

5. კომისია:

ა) სამეცნიერო მასალებზე დაყრდნობით შეისწავლის და მინისტრს რეკომენდაციის სახით წარუდგენს იმ ეთნიკურ წარმომავლობათა ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა

პირთათვის ისეთი გვარების მინიჭების პრაქტიკას, რომელიც არ შეესაბამებოდა ამავე ეთნოსის ისტორიულ-კულტურულ, მათ შორის, გენეალოგიურ ტრადიციებს;

ბ) შეიმუშავებს და მინისტრს რეკომენდაციის სახით წარუდგენს გვარების შეცვლის მეთოდოლოგიას.

6. კომისია უფლებამოსილია დააკვირდეს ამ კანონის საფუძველზე განხორციელებულ პროცესებსა და ტენდენციებს. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე კომისია უფლებამოსილია მინისტრს მიმართოს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის რეკომენდაციით.

მუხლი 5. მინისტრის უფლებამოსილება ამ კანონის აღსრულების პროცესში

1. ამ კანონით პირთათვის მინიჭებული უფლების აღსრულებისთვის აუცილებელი პროცედურებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგების მიზნით, მინისტრი გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს - ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება:

ა) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების მხედველობაში მიღებით - იმ ეთნიკური ჯგუფების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა პირთათვის ისეთი გვარების მინიჭების პრაქტიკას, რომელიც არ შეესაბამებოდა ამავე ეთნოსის ისტორიულ-კულტურულ, მათ შორის, გენეალოგიურ ტრადიციებს;

ბ) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების მხედველობაში მიღებით - ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლის მეთოდოლოგია;

გ) ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლასთან დაკავშირებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;

დ) ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს განცხადების წარდგენის დღიდან. ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ერთჯერადად არაუმეტეს 1 თვით;

ე) ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს გვარის შეცვლისთვის კანონმდებლობით დადგენილი საფასურის ნახევარს;

ვ) გვარის შეცვლასთან დაკავშირებული პროცედურები და სხვა საკითხები, რომელიც წესრიგდება ამ კანონის მიხედვით.

მუხლი 6. გვარის შეცვლის მეთოდოლოგია

1. მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება გვარის შეცვლის მეთოდოლოგია, რომლის გამოცემისას მხედველობაში მიიღება კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციები.

2. გვარის შეცვლის მეთოდოლოგია გულისხმობს იმ წესების შემუშავებას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ახალი გვარის არჩევა. ასეთ წესს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, კონკრეტული ფორმულირებების ჩამონათვალის შექმნა, საიდანაც გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი აარჩევს მისთვის სასურველ გვარს;

ბ) გვარის გარდაქმნის წესები, რა დროსაც გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი გამოიყენებს მისი გვარის ფუძეს და ექნება შესაძლებლობა შეარჩიოს წინასწარ განსაზღვრული სუფიქსები.

3. ცალკეული ერების ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მეთოდოლოგია შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.

4. ამ კანონის მიხედვით შემუშავებული მეთოდოლოგია თავსებადი უნდა იყოს სახელისა და გვარის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზოგად წესებთან.

მუხლი 7. გვარის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება

1. ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირისთვის გვარის შეცვლაზე გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი ორგანო.

2. ამ კანონის მიხედვით გვარის შეცვლის შესახებ განცხადება წარმოადგენს საფუძველს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის.

3. ამ კანონით განსაზღვრული წესით გვარის შეცვლაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში:

ა) გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს სხვა ნათესაური კავშირიდან გამომდინარე მიღებული აქვს სხვა ისეთი გვარი, რომელიც ამ კანონის მიხედვით შეცვლას არ ექვემდებარება.

4. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბრძანება უნდა ითვალისწინებდეს გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირისთვის ალტერნატიული მტკიცებულებების (მათ შორის, მოწმეები) წარდგენის შესაძლებლობას, როდესაც უდავოდ დასტურდება სტანდარტული წესით განსაზღვრული საბუთების მოძიების ობიექტური შეუძლებლობა მათი განადგურების გამო.

5. უფლებამოსილი ორგანო უფლებამოსილია მიმართოს კომისიას ისეთ საკითხებზე კონსულტაციის მიზნით, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს კომისიის კომპეტენციას. კომისიისთვის ამ საფუძვლით მიმართვის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება ჩერდება შესაბამისი პასუხის მიღებამდე, მაგრამ არაუმეტეს 1 თვემდე ვადით.

6. ამ კანონით დადგენილი გვარის შეცვლის საკითხზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პერსონალური მონაცემების დაცვა

1. ამ კანონით განსაზღვრული მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. უფლებამოსილი ორგანო და კომისია ვალდებულნი არიან უზრუნველყონ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობა და მონაცემები არ გახადოს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. 2022 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა უზრუნველყოს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი-მე-4 პუნქტების მიხედვით კომისიის შექმნა.

2. 2022 წლის 1 აპრილამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა უზრუნველყოს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა.

3. 2026 წლის 31 დეკემბრის შემდეგ სააგენტოს მიერ განცხადების განხილვის გაგრძელება ამ კანონით დადგენილი წესით დასაშვებია თუ განცხადება გვარის მინიჭების თაობაზე შეტანილ იქნა ამ კანონის მოქმედების ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე.

მუხლი 10. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლების, მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და მე-5-მე-8 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 თებერვლიდან.

3. ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლები, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-5-მე-8 მუხლები ამოქმედდეს 2022 წლის 1 აპრილიდან.

4. ეს კანონი მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**